გამოთხოვება დიდ გერმანისტთან

ნოდარ კაკაბაძე

ქართულმა გერმანისტიკამ და ჰუმანიტარულმა მეცნიერებამ უდიდესი დანაკლისი განიცადა. 23 სექტემბერს მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა გამოჩენილი ქართველი გერმანისტი, ლიტერატურათმცოდნე, მთარგმნელი და კრიტიკოსი, მეცნიერი და პედაგოგი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ნოდარ კაკაბაძე. 23 სექტემბერს ნოდარ კაკაბაძე 84 წლის უნდა გამხდარიყო. გახდა კიდეც, მაგრამ სულ ორიოდ საათით. ბედისწერამ ასე ინება.

ნოდარ კაკაბაძე ფილოლოგის ოჯახში დაიბადა - მამამისი მეთოდე კაკაბაძე ქართული ენისა და ლიტერატურის ჩინებული მასწავლებელი იყო. ამდენად ნოდარ კაკაბაძისთვის პროფესიის არჩევანი ძნელი არ ყოფილა. მისი კარიერაც ლოგიკურად ვითარდებოდა - ჯერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის სტუდენტი, ასპირანტი, შემდეგ ამავე ფაკულტეტის გერმანული ფილოლოგიის კათედრის მასწავლებელი, დოცენტი და პროფესორი, 1986 - 2003 წლებში თსუ-ს საზღვარგარეთის ლიტერატურის კათედრის გამგე, 1985-1992 წლებში დასავლეთ ევროპის ენებისა და ლიტერატურის ფაკულტეტის დეკანი, საქართველოს მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, გოეთეს საერთაშორისო საზოგადოების საქართველოს განყოფილების ჯერ ვიცე-პრეზიდენტი (1971-1999), შემდეგ მისი პრეზიდენტი (1999-2006) და საპატიო პრეზიდენტი. ნ. კაკაბაძე იყო აგრეთვე საქართველოს შექსპირის საზოგადოების პრეზიდიუმის წევრი, საქართველოს მწერალთა კავშირის წევრი, გერმანიაში - ფაუსტის, შილერის, ჰოელდერლინის, თომას მანის, ჰაინრიჰ მანის და გერჰარტ ჰაუპტმანის საზოგადოებების წევრი, ვაიმარის გოეთეს საზოგადოების საპატიო წევრი (1997 წლიდან).

თომას მანი ნოდარ კაკაბაძის გამოკვლევებში ცენტრალურ ადგილს იკავებს (მისი საკანდიდატო დისერტაციის თემა ჰაინრიჰ მანის შემოქმედება იყო, ხოლო სადოქტოროსი კი თომას მანის ადრეული შემოქმედება). ბატონი ნოდარის 300-ზე მეტი პუბლიკაციიდან საკმაოდ სოლიდური რაოდენობა სწორედ თომას მანს ეძღვნება. პირველ რიგში, ალბათ უნდა დავასახელოთ მონოგრაფიები: "თომას მანი - ადრეული შემოქმედება (1893-1900)" (თსუ გამომცემლობა, 1967 წ.), "თომას მანი" (თსუ გამომცემლობა, 1973 წ.), Поэтика романа Томаса Манна (Изд. ТГУ, 1983), Томас Манн - грани творчества (Тбилиси, изд. Мерани", 1985).

ამ მონოგრაფიის გარდა, რაღა თქმა უნდა, ბატონ ნოდარს საკმაოდ ბევრი სტატია, მოხსენება თუ რეფერატი აქვს გამოქვეყნებული და წაკითხული თომას მანზე. მათ შორის აღსანიშნავია: "ჯეიმს ჯოისი თომას მანის ესეებში", "თომას მანის უცნობი წერილები", "თომას მანი და შილერი", "თომას მანი და ფრანც კაფკა", "სილუეტი თომას მანისა".

თომას მანის შემოქმედების თავისებურებას ნოდარ კაკაბაძე შეწყვილებითი დაპირისპირებითაც იკვლევდა:

- თომას მანი და გოეთე;
- თომას მანი და შილერი;
- თომას მანი და ნიცშე;
- თომას მანი და დოსტოევსკი;
- თომას მანი და ფრანც კაფკა.

1973 წელს გამოცემულ მონოგრაფიაში "თომას მანი", დამატების სახით დაბეჭდილია თომას მანის ქალიშვილის ერიკა მანის რამდენიმე წერილი ბატონ ნოდარ კაკაბაძისადმი, ხოლო ბატონი ნოდარის წერილები ერიკა მანისადმი ინახება მიუნხენის ქალაქის ბიბლიოთეკაში (ერიკა და კლაუს მანების არქივში).

ნოდარ კაკაბაძე, რაღა თქმა უნდა, არა მხოლოდ თომას მანის მკვლევარი იყო, არამედ სხვა მნიშვნელოვანი გერმანულენოვანი მწერლებისაც. ბატონ ნოდარს აქვს გამოკვლევები, სტატიები თუ პორტრეტები ისეთი მწერლებისა როგორებიც არიან - გერჰარტ ჰაუპტმანი, ფრანც კაფკა, მაქს ფრიში, შტეფან ცვაიგი, ბერტ-

ბევრი გერმანელი ან გერმანულენოვანი მწერალი და პოეტი საქართველოში პირველად ნოდარ კაკაბაძის მეშვეობით გახდა ცნობილი, ანდა პირველი გამოკვლევა საქართველოში მათზე მის მიერ დაიწერა: ასე მაგალითად: ფრანც კაფკაზე (პირველი გამოკვლევა საქართველოში ზურაბ და ნოდარ კაკაბაძეებისა), ბერტოლდ ბრეჰტის "კავკასიურ ცარცის წრეზე" პირველად ბატონმა ნოდარმა დაწერა; ასევე რაინერ მარია რილკეზე (კ. გამსახურდიას შემდეგ პირველი გამოკვლევა). ქართველ მკითხველებს პირველად ნოდარ კაკაბაძემ წარუდგინა ემანუელ ლასკერი, ინგებორგ ბახმანი, ნელი ზაქსი, კარლ კროლო, გიუნტერ აიში, პაულ ცელანი, ჰაინრიჰ ბიოლი (ზურაბ კაკაბაძესთან ერთად), ერვინ და ევა შტრიტმატერები, ლუიზე რინზერი, გიუნტერ გრასი და სხვები.

აღსანიშნავია, რომ ბატონ ნოდარს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აკავშირებდა ჰაინრიჰ ბიოლთან, ერვინ და ევა შტრიტმატერებთან და მრავალ სხვასთანაც. ერვინ შტრიტმატერმა თავის Schulzenhofer Kramkalender-ში ერთი მინიატურა ბატონ ნოდარს უძღვნა, ხოლო ევა შტრიტმატერმა ერთ-ერთი თავისი ლექსი მიუძღვნა ბატონებს - ნოდარ კაკაბაძეს, ნიკო ყიასაშვილსა და რეზო ყარალაშვილს.

განსაკუთრებით აღსანიშნავია ბატონი ნოდარის მეგობრობა ცნობილ გერმანისტთან და საზოგადო მოღვაწესთან ლევ კოპელევთან. ეს მეგობრობა არა ერთ ათეულ წელს ითვლიდა.

როდესაც 1981 წელს ლევ კოპელევს გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში გუნდოლფის პრემია მიანიჭეს (ეს პრემია საუკეთესო უცხოელ გერმანისტს ენიჭება), მან თავის სამადლობელ სიტყვაში აღნიშნა, რომ ეს პრემია მარტო მე არ მეკუთვნისო; ჩემთან ერთად მას იმსახურებენ ისეთი გერმანისტები, როგორიცაა ვლადიმერ ადმონი, ალექსანდრე კარელსკი, სემიონ აპტი, ნოდარ კაკაბაძე და რეზო ყარალაშვილიო.

ბატონი ნოდარი საგანგებოდ იკვლევდა ქართულ თემას გერმანულ და ავსტრიულ ლიტერატურაში. მის კალამს ეკუთვნის ქართველი მწერლების, პოეტების, ლიტერატორებისა და საზოგადო მოღვაწეების პორტრეტები (მაგ.: ნიკო ლორთქიფანიძის, გალაკტიონ ტაბიძის, ერეკლე ტატიშვილის, გრიგოლ კიკნაძის, მიხეილ კვესელავას და სხვ.), აგრეთვე რეცენზიები რობერტ სტურუას და თემურ ჩხეიძის მიერ დადგმულ სპექტაკლებზე, წერილები კინოხელოვნებაზე - ოთარ იოსელიანის "მთვარის ფავორიტებზე", თენგიზ აბულაძის "მონანიებაზე", ალექსანდრე რეხვიაშვილის ფილმებზე და ფელინის

საგანგებო კვლევის საგნად იქცა გრიგოლ რობაქიძის ლიტერატურული მემკვიდრეობა.

განსაკუთრებული აღნიშვნის ღირსია ნოდარ კაკაბაძის მთარგმნელობითი მოღვაწეობაც. მას თარგმნილი აქვს: **ფრანც კაფკას** პარაბოლები "კაცი კაცს მოსდევს", "ყოველდღიური აღრეულობა", "კანონის წინ", "სიმართლე სანჩო პანსაზე", "ახალი ვექილი", "შიმშილის ოსტატი"; **ფრიდრიჰ ჰოლდერლინის** ლექსი "სიცოცხლის ნახევარი"; რაინერ მარია **რილკეს** "შემოდგომის დღე" და ერთი ლექსი კრებულიდან "ჟამნი"; **პაულ ცელანის** "სიკვდილის ფუგა"; **გიუნტერ აიჰის** "ჩემმა"; **ჰაინრიჰ ბიოლის** "კიოლნი" I და "კიოლნი" II; **ნელი ზაქსის** ლექსები; **მაქს ბოლინგერის, ინგებორგ ბახმანის, გიუნტერ აიჰის** ნაწარმოებები, **ანა ზეგერსის** "შეხვედრა მოგზაურობისას".

ვინ მოსთვლის, სტუდენტთა რამდენი თაობის გამზრდელი იყო ბატონი ნოდარი. ერთი საოცარი თვისება ჰქონდა - ის როგორღაც ახერხებდა ერთი მხრივ ლექციის აკადემიური ფორმატის შენარჩუნებას და ამავე დროს უშუალო ატმოსფეროს დამყარებას თავისსა და აუდიტორიას შორის. თამამად შეიძლება ითქვას, რომ უკლებლივ ყველა სტუდენტი იმსჭვალებოდა მისდამი პატივისცემითა და გულწრფელი სიყვარულით. ეს კი ყველა დიდი მეცნიერის და პედაგოგის ხვედრი როდია!

1985 წელს მიუნხენის და ჰამბურგის კნაუსის გამომცემლობაში გამოვიდა წიგნი მეტად დამაინტრიგებელი სათაურით - "სამი შეკითხვა გერმანიასთან დაკავშირებით - 58 პასუხი" (Drei Fragen zu Deutschland - 58 Antworten). ამ წიგნის გამომცემლებია: ვუპერტალის უნივერსიტეტის რექტორი, პროფ. იოზეფ მ. ჰოისლინგი, კლაუს ჰედლი, ლევ კოპელევი და ჰაინც როლკი. სამი ერთნაირი კითხვა დაეგზავნა 58 გამოჩენილ პიროვნებას, მათ შორის: გოეთეს ინსტიტუტის პრეზიდენტს კლაუს ფონ ბისმარკს, ნობელის პრემიის ლაურეატს ჰაინრიჰ ბიოლს, ყოველკვირეული გაზეთის "დი ცაიტის" გამომცემელს მარიონ დოენჰოფს, ავსტრიის ლიტერატურული საზოგადოების ხელმძღვანელს ვოლფგანგ კრაუზს, მწერალს ადოლფ მუშგს, ბავარიის ყოფილ პრემიერ მინისტრს ფრანც იოზეფ შტრაუსს, მწერალსა და ლიტერატურათმცოდნეს ლევ კოპელევს და თბილისის უნივერსიტეტის პროფესორს, გერმანისტს ნოდარ კაკაბაძეს.

არ გავიმეორებთ ყველა იმ შეკითხვას, რადგანაც იმავე 1985 წელს ეს შეკითხვები და ბატონი ნოდარის პასუხები გამოქვეყნდა "ახალგაზრდა ივერიელში" (რის გამოც ამ გაზეთის მაშინდელ რედაქტორს პაატა ნაცლიშვილს რამდენადმე უსიამოვნებაც

შეკითხვა: რას ფიქრობთ ორივე გერმანულ სახელმწიფოში სულიერი და კულტურული განვითარების პერსპექტივებზე? როგორ გესახებათ მათი მომავალი განვითარების განხორციელება?

პასუხი: "დარწმუნებული ვარ, რომ ორივე ნაწილი ოდესღაც კვლავ გაერთიანდება. როგორ? რა გზით? მე ეს არ ვიცი. მე არც ფუტუროლოგი ვარ და არც პოლიტოლოგი, არც წინასწარმეტყველი და არც ნათელმხილველი. მაგრამ გახლეჩილი გერმანია მთელი კაცობრიობის სირცხვილი და ღია ჭრილობაა, რომელიც უნდა შეხორცდეს. მე მხოლოდ შემიძლია წარმოვიდგინო, თუ რა მდგომარეობაში ვიქნებოდი, ჩემი ქვეყანა რომ ყოფილიყო ორად გაპობილი. თუ როგორ განვითარდება ორივე გერმანული სახელმწიფო, ეს ძირითადად, თავად გერმანელებზეა დამოკიდებული. ნუ მიწყენთ, ჩემო ბატონებო, მაგრამ დღევანდელი მდგომარეობა, მე მხედველობაში მაქვს გერმანიის გახლეჩილობა, გერმანელებმა თავად, უნებლით გამოიწვიეს და განაპირობეს".

ბატონი ნოდარი კი ამბობდა, რომ არც ფუტუროლოგი ვარ და არც პოლიტოლოგიო, არც წინასწარმეტყველი და არც ნათელმხილველიო, მაგრამ ბევრი რამ მას ძალზე გაბედულად "უწინასწარმეტყველია" 1985 წელს და არა მარტო გერმანიასთან დაკავშირებით.

ნოდარ კაკაბაძის საყვარელი ლიტერატურული ნაწარმოები იყო გოეთეს "ფაუსტი". ფაუსტური თემის უსასრულობა, ამ პერსონაჟის ისტორიული, ლეგენდარული და ლიტერატურული გარდასახვა ნოდარ კაკაბაძის ერთ-ერთი სალიტერატურო კოლაჟის თემაც გახლავთ, კოლაჟისა სათაურით: "ფაუსტი - ისტორიული, ფაუსტი - ლეგენდარული და ფაუსტი - ლიტერატურული".

ნოდარ კაკაბაძესთან გამოთხოვებისას მასვე დავესესხებით ამ ფრაზულ კომპოზიციას - მშვიდობით, ლეგენდარულო ლიტერატორო!

გოეთეს საერთაშორისო
საზოგადოების თბილისის განყოფილება

ფული დემონტაჟისთვის

მოსკოველები ზურაბ წერეთლის მონუმენტების დემონტაჟისთვის ფულს აგროვებენ.

აქტუალური ხელოვნების მუზეუმში (ART4.RU) შემოწირულობებით შეგროვილი თანხა ორი დღის წინ დათვალეს და აღმოჩნდა, რომ ცნობილი ქართველი მოქანდაკის ნამუშევრების დემონტაჟისთვის მოსკოველებმა 100 ათასი რუბლი გაიღეს.

მიმდინარე წლის აგვისტოს შუა რიცხვებში, მუზეუმის შესასვლელში ჩამოკიდეს გამჭვირვალე ყუთი, რომელსაც რუსულ და ინგლისურ ენებზე ეწერა: "ზურაბ წერეთლის ყველგან მდგომი მონუმენტების დემონტაჟისთვის თანხის შესაგროვებლად". რუსული საინფორმაციო სააგენტოების ცნობით, რამდენიმე დღეში საკმაოდ სოლიდური თანხა შეგროვდა.

აქციის ორგანიზატორები ვერ ასახელებენ მონუმენტების დემონტაჟის დაწყების ზუსტ თარიღს. ისინი აცხადებენ, რომ მათი მიზანია, გამოაცოცხლონ რუსული მონუმენტური ხელოვნება, რათა ამიერიდან მოსკოვის ქუჩებში აქტუალური ხელოვნების ნიმუშები იდგეს.

ახალგაზრდა შემოქმედები მხოლოდ წერეთლის ხელოვნებას არ ებრძვიან, თუმცა, სურთ, რომ რუსეთის დედაქალაქი პირველ რიგში, სწორედ მისი ქმნილებებისგან გაწმინდონ. **ინტერპრესნიუსი**

ერთ-ერთი პირველი კოლონიზატორის ნეშტი საქართველოში

კაცობრიობის ისტორიაში ერთ-ერთი პირველი კოლონიზატორის ნეშტის ნარჩენები საქართველოში აღმოაჩინეს. "კოლონიზატორი" უკეთესი მომავლის საძიებლად აფრიკიდან საქართველოში დაახლოებით 1,8 მილიონი წლის წინ ჩამოვიდა.

ამის შესახებ მასალა დმანისის ექსპედიციის წევრებმა ცნობილი ბრიტანული ჟურნალის Nature-ის ბოლო ნომერში გამოაქვეყნეს.

ეროვნული მუზეუმის გენერალური დირექტორის და დმანისის არქეოლოგიური ექსპედიციის ხელმძღვანელის დავით ლორთქიფანიძის განცხადებით, მთელ მოპოვებულ მასალას, რომელიც ზემოთ აღნიშნულ ჰიპოთეზას ამტკიცებს, უახლოეს მომავალში ამერიკელი საზოგადოება იხილავს.

მისი თქმით, დმანისში აღმოჩენილი ჰომენიდები, ადამიანის ჩონჩხის სხვადასხვა ნაწილები და სხვა არქეოლოგიური მასალა ახალ წლამდე ვაშინგტონში, სმითსონიანის ინსტიტუტში გამოიფინება.

გათხრები დმანისის ტერიტორიაზე 1990-იანი წლების დასაწყისში დაიწყო და მას მერე არქეოლოგებმა იქ ადამიანის წინაპრების ნეშტების მრავალი ნარჩენი და სხვადასხვა ნივთები აღმოაჩინეს.

"ადრე მეცნიერთა ხელში უპირატესად თავის ქალები და ყბები ხვდებოდა, რომელთა მიხედვითაც არ შეიძლებოდა ამ ტერიტორიაზე მცხოვრები ადამიანის წინაპრის გარეგნობაზე წარმოდგენის შექმნა. ამჟამად არქეოლოგებმა აღმოაჩინეს ახალგაზრდა ქალის ჩონჩხის რამდენიმე ფრაგმენტი, შეუპირისპირეს ის სამი მოზრდილის თავის ქალას, ყბებს და გამოიტანეს დასკვნა, რომ ეს ნიმუშები აფრიკის კონტინენტის საზღვრებს გარეთ აღმოჩენილი ნიმუშებიდან ერთ-ერთი უძველესია", - განაცხადა ლორთქიფანიძემ.

მისი თქმით, ნაპოვნი ნეშტის ნარჩენებში შერწყმულია ყველაზე პრიმიტიული და უფრო განვითარებული ადამიანის წინაპრების ნიშნები. ბევრ ასპექტში ძვლები ჰომო ერექტუსის (გამართულად მოსიარულე ადამიანი) სახეობას გავს, რომელიც ჰომო საპიენსის, თანამედროვე ადამიანის უშუალო წინაპრის ერთ-ერთი წინაპარია და აფრიკაში დაახლოებით 2 მილიონი წლის წინ გაჩნდა.

"ჩონჩხის ხერხემალი და ქვედა კიდურები ძალიან ჰგავს ადამიანისას და იმაზე მიუთითებს, რომ ისინი, ვისაც ეს ნაწილები ეკუთვნოდა, მიჩვეულები იყვნენ დიდ მანძილზე გადაადგილებას. მამრის და მდედრის ზომებს შორის უმნიშვნელო განსხვავება მათ ასევე აახლოებს ჰომო საპიენსთან", - განაცხადა ლორთქიფანიძემ. **ინტერპრესნიუსი**

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი მწუხარებას გამოხატავს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორ **ნოდარ კაკაბაძის** გარდაცვალების გამო და თანაგრძნობას უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

SOVLAB

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ღრმა მწუხარებას გამოხატავს ცნობილი მეცნიერის, ქართველოლოგის და კავკასიოლოგის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკ-